85
64/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 33 (266) 30 ნოემბერი 1964 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

565. დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა შეწყალების საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული აქტების ფორმის შესახებ.

566. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.

567. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღის" დღესასწაულის დაწესების შესახებ.

568. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იმის თაობაზე, რომ ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულება „წითელი არმიის არტილერიის დღის" ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ" და 1944 წლის 13 ნოემბრის ბრძანებულება „ქალაქებში სვერდლოვსკში, გორკში, პერმსა და ტულაში „არტილერიის დღის" აღნიშვნის წესის დადგენის შესახებ".

განყოფილება მეორე

569. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სახელმწიფო საკავშირო ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის" ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

570. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სახელმწიფო საკავშირო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროის" შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

571. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის გზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის მშენებლობათა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის სახელმწიფო საკავშირო ტრესტ „სოიუზპროვოდმექანიზაციის" შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

572. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის გზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების იმ მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბუხარა-ურალის გაზსადენის პირველი რიგის მშენებლობის დროს.

573. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. ჩურაევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

574. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

575. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. ზიმიანინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

576. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ბ. ხრაპჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

577. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ე. პოლიაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

578. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ვ. თ. ტოლუბკოს წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

579. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ.

580. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ზოგიერთი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

581. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

განყოფილება მეორე

582. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. ავჩიანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

565 შეწყალების საკითხებზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიღებული აქტების ფორმის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს, რომ მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მიიღებს ბრძანებულებებს.

მსჯავრდებულთა შეწყალების შუამდგომლობებზე უარის თქმის შესახებ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოსცემს დადგენილებებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ნოემბერი.

№ 3008-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

566 ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოსახლეობის თხოვნით ბელორუსიის სსრ მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის გამო სსრ კავშირის კონსტიტუციის 14 მუხლის „ე“ პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის შეცვლა, რაც მოხდა „ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქის მსტისლავლის სასოფლო რაიონისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მონასტირშჩინის სასოფლო რაიონის ზოგიერთი დასახლებული პუნქტის გადაცემის შესახებ“ რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 3 ოქტომბრის ბრძანებულებით და „რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად დაწესებული საზღვრის აღწერილობა თან ერთვის.

ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად შეტანილ იქნეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ნოემბერი.

№ 3026-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა ნ ა რ თ ი

„ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მაზიკინის სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ნაწილის გადაცემის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით რუსეთის სფს რესპუბლიკასა და ბელორუსიის სს რესპუბლიკას შორის საზღვრის ნაწილობრივი შეცვლის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულებისა
№ 3026-VI.

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ა

რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მონასტირშჩინის რაიონსა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქის მსტისლავლის რაიონს შორის შეცვლილი საზღვრის უბნისა

რუსეთის სფს რესპუბლიკის სმოლენსკის ოლქის მონასტირშჩინის რაიონსა და ბელორუსიის სს რესპუბლიკის მოგილიოვის ოლქის მსტისლავლის რაიონს შორის შეცვლილი საზღვრის ხაზი იწყება დასახლებულ პუნქტ კასკოვოდან 500 მეტრის მანძილზე სამხრეთით რესპუბლიკათშორისი საზღვრის არსებული ხაზიდან, საიდანაც მიემართება აღმოსავლეთისაკენ მდინარე სოჟამდე, შემდეგ მიჰყვება მდინარე სოჟს დასახლებულ პუნქტ ბახარევკამდე, სადაც გადაუხვევს ჩრდილო-დასავლეთისაკენ და გრძელდება ქალაქ მსტისლავლში მიმავალი გზატკეცილისა და მდინარე ოსლიანკას გადაკვეთამდე.

შემდეგ საზღვრის ხაზი მიდის ჩრდილოეთის მიმართულებით მშრალ ხევზე, უვლის აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრივ დაახლოებით 1,5 კილომეტრის მანძილზე დასახლებულ პუნქტ ბრაგის, შემდეგ დასავლეთის მიმართულებით დასახლებულ პუნქტ სტარაია შმატოვკას ჩრდილოეთით დასახლებულ პუნქტ სევერნოე ბედიშჩინომდე, უვლის მას ჩრდილოეთის მხრივ და გამოდის დასახლებულ პუნქტ ბიზიუკისა და დასახლებულ პუნქტ იუჟნოე ბელიშჩინოს შორის რესპუბლიკათშორისი საზღვრის არსებულ ხაზზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. ბიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

567 „რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღის“ დღესასწაულის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაწესდეს „რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღის“ ყოველწლიური დღესასწაული 19 ნოემბერს.

ამ დღეს ჩვენი საბშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებსა და ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნეს სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ნოემბერი.
№ 3027-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

568 იმის თაობაზე, რომ ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულება „წითელი არმიის „არტილერიის დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ“ და 1944 წლის 13 ნოემბრის ბრძანებულება „ქალაქებში სვერდლოვსკში, გორკში, პერმსა და ტულაში „არტილერიის დღის“ აღნიშვნის წესის დადგენის შესახებ“

„რაკეტული ჯარებისა და არტილერიის დღის“ დღესასწაულის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 17 ნოემბრის ბრძანებულების მიღებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 21 ოქტომბრის ბრძანებულება „წითელი არმიის „არტილერიის დღის“ ყოველწლიური დღესასწაულის დაწესების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1944 წ., № 56) და 1944 წლის 13 ნოემბრის ბრძანებულება „ქალაქებში სვერდლოვსკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში, გორკში, პერმსა და ტულაში „არტილერიის დღის“ აღნიშვნის წესისა და ფორმისა
გენის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1944 წ., № 61).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ნოემბერი.
№ 3028-VI.

განყოფილება მეორე

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

569 სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სახელმწიფო საკავშირო ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მაგისტრალური მილსადენების მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ბუხარა-ურალის გაზსადენის პირველი რიგის დროულად ამოქმედების უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის **სახელმწიფო საკავშირო ტრესტი „ნეფტეპროვოდმონტაჟი“** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ნოემბერი.
№ 3029-VI.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

570 სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სახელმწიფო საკავშირო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტ „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მაგისტრალური მილსადენების მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ბუხარა-ურალის გაზსადენის პირველი რიგის დროულად ამოქმედების უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის **სახელმწიფო საკავშირო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტი „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროი“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ნოემბერი.
№ 3030-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

571 სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის მშენებლობათა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის სახელმწიფო საკავშირო ტრესტ „სოიუზპროვოდმექანიზაციის“ შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მაგისტრალური მილსადენების მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის და ბუხარა-ურალის გაზსადენის პირველი რიგის დროულად ამოქმედების უზრუნველყოფისათვის სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის **მშენებლობათა შრომატევადი სამუშაოების მექანიზაციის სახელმწიფო საკავშირო ტრესტი „სოიუზპროვოდმექანიზაცია“** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ნოემბერი.
№ 3031-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

572 სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების იმ მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ბუხარა-ურალის გაზსადენის პირველი რიგის მშენებლობის დროს

ბუხარა-ურალის გაზსადენის პირველი რიგის მშენებლობის დროს მოპოვებული თვალსაჩინო საწარმოო წარმატებებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს მედალი **„ნამგალი და ურო“**:

1. ნიკოლოზ ალექსის ძე **ვორობიოვს** — ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ მმართველს.

2. ვლადიმერ მიტროფანეს ძე **პროკოპენკოს** — № 12 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირს.

3. აირატ ნასიბულინის ძე **ხალიულინს** — ტრესტ „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროის“ № 3 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ნოემბერი.
№ 3032-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

573 ამხ. ვ. მ. ჩურაევის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რუსეთის სფს რესპუბლიკის ბიუროს და რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ვიქტორ მიხეილის ძე **ჩურაევი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ნოემბერი.
№ 3034-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

574 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბიბლიოთეკო მუშაობის დარგში დამსახურებისათვის და დაარსების 250 წლისთავთან დაკავშირებით **სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ნოემბერი.
№ 3035-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

575 ამხ. მ. ვ. ზიმიანინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ამხ. მიხეილ ვასილის ძე **ზიმიანინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 20 ნოემბერი.
№ 3039-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

576 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის მ. ბ. ხრაპჩენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის და ლიტერატურისმცოდნეობის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მიხეილ ბორისის ძე **ხრაპჩენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 21 ნოემბერი.
№ 3044-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

577 ამხ. ი. ე. პოლიაკოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ბელორუსიის კომუნისტური პარტიის გომელის სასოფლო ოლქკომის პირველი მდივანი ამხ. ივანე ევთეის ძე **პოლიაკოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ნოემბერი.
№ 3046-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

578 გენერალ-პოლკოვნიკ ვ. თ. ტოლუბკოს წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი ვლადიმერ თევდორეს ძე **ტოლუბკო** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ნოემბერი.
№ 3047-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ბუხარა-ურალის მაგისტრალური გაზსადენის პირველი რიგის აგებისა და უზბეკეთის სსრ გაზლინსკის გაზის საბადოს ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 18 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების 297 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ № 74 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უბნის უფროსი ე. ა. ატროშჩენკო, გაერთიანება „ბუხარანეფტეგაზის“ გაზისა და ნავთობსარეწაო სამმართველოს „გაზლინნეფტეგაზის“ გაზის მოპოვების ოპერატორი ა. ბამურატოვი, ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ № 2 სპეციალიზებული სამმართველოს ელექტროშემდუღებელი მ. კ. გაშენკო, ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ № 2 სპეციალიზებული სამმართველოს ელექტროშემდუღებელი ა. ჰ. გნედი, № 12 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირი დ. ზინაბეტდინოვი, ტრესტ „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს მექანიზებული კოლონის ბრიგადირი გ. ხ. ნაფიკოვი, ტრესტ „ურალნეფტეგაზსტროის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს მებათქაშე მღებავების ბრიგადირი ვ. ვ. ორლოვი, ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ № 6 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მილგამყვანთა ბრიგადირი ა. ტ. პოტურნაკი, ტრესტ „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროის“ № 1 სამშენებლო სამმართველოს ბულდოზერის მემანქანე ტ. დ. ულიანოვი, ტრესტ „ვოსტოკნეფტეპროვოდსტროის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს მილჩამწყობის მემანქანე კ. შ. ხაბიროვი, ტრესტ „ნეფტეპროვოდმონტაჟის“ ყოფილი მთავარი ინჟინერი მ. ზ. შაქიროვი, გაერთიანება „ბუხარანეფტეგაზის“ გაზისა და ნავთობსარეწი სამმართველო „გაზლინნეფტეგაზის“ ბურღვის ოსტატი ხ. ხ. შაქიროვი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 51 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 81, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 79 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 74 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

* *
*

საბჭოთა ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 20 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა ორგზის წითელდრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოვანი წითელი ვარსკვლავის ორდენის ა. ვ. ალექსანდროვის სახელობის საბჭოთა არმიის ცეკვისა და სიმღერის ანსამბლის 15 შემოქმედებითი მუშაკი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია ანსამბლის უფროსი და მხატვრული ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ა. ალექსანდროვი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 3 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 3, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 3 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 5 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ და გაზეთში „კრასნაია ზვეზდა“.

* *
*

აზბესტის გამომუშავების საწარმოო სიმძლავრეთა ზრდასა და ათვისებაში და აზბესტის მრეწველობის ხელახალ ტექნიკურ აღჭურვაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 19 ნოემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა აზბესტის საწარმოების, სამეცნიერო-საკვლევო და საპროექტო ინსტიტუტების, სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების 99 მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე, რომლებმაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებულია: შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტ „სოიუზაზბესტის“ მუშაკები — აზბესტის მესამე გამამდიდრებელი ფაბრიკის მარეგულირებელი ნ. ნ. ეპიფანოვა, ცენტრალური მაღაროთ-სამმართველოს ექსკავატორის უფროსი მემანქანე ა. ს. სუსლოვი, ტრესტის მმართველი მ. პ. ტუტოვი და შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო მასალების მრეწველობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ვ. ი. ტიტარენკო.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 14 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 26, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 27 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 28 კაცი.

ბრძანებულება გამოქვეყნებულია „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მომავალ მეხუთე სესიასთან დაკავშირებით პალატების საბიუჯეტო კომისიებმა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიურმა კომისიამ დაიწყეს სსრ კავშირის 1965 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების დაზუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტისა და სსრ კავშირის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წინასწარი განხილვა.

კომისიის მუშაობაში, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისა, მონაწილეობას ღებულობენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სხვა სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

1964 წლის 20 ნოემბერს კრემლში გაიმართა პალატების საბიუჯეტო კომისიებისა და ეროვნებათა საბჭოს ეკონომიური კომისიის გაერთიანებული სხდომა. სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პ. ფ. ლომაკოს მოხსენება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო გეგმის პროექტის შესახებ და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის ვ. თ. გარბუზოვის მოხსენება სსრ კაკშირის 1965 წლის დაზუსტებული სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და სსრ კავშირის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

სახალხო-სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების ცალკეული განყოფილებების და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განსახილველად და ამ პროექტების გამო დასკვნების მოსამზადებლად შეიქმნა ქვეკომისიები სახალხო მეურნეობის დარგებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით.

ამჟამად ქვეკომისიებში განიხილავენ სსრ კავშირის სახელმწიფო-საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების წარმომადგენელთა ინფორმაციებს მიმდინარე წლის გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობისა და 1965 წლის საგეგმო და საბიუჯეტო დავალებათა პროექტების შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

579 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან შექმნილი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, ახორციელებენ რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებს, თავიანთ მუშაობაში ფართოდ იზიდავენ მშრომელთა მასებს, რომლებიც მნიშვნელოვან დახმარებას უწევენ საბჭოებს მათ წინაშე მდგარი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაში.

ფართო განვითარება ჰპოვა საზოგადოებრივი საწყისების ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიცაა შტატგარეშე: განყოფილებები, ინსტრუქტორები, ინსპექტორები, ქალთა და პენსიონერთა საბჭოები, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაწესებულებების საზოგადოებრივი საბჭოები, ქუჩის კომიტეტები და სხვ.

სულ რესპუბლიკაში შექმნილია 20 ათასზე მეტი თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებშიაც გაერთიანებულია 230.000-დე კაცი. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ჩამოყალიბებულია 132 შტატგარეშე განყოფილება.

ყურადღებას იმსახურებს რუსთავის, გორის, ტყიბულისა და თელავის საქალაქო საბჭოების აღმასკომების შტატგარეშე საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებები, რომლებმაც საბჭოების სესიების და აღმასკომის სხდომების განსახილველად მოამზადეს მთელი რიგი საკითხები. მათ შორის: საარჩევნო ოლქებში დეპუტატების მუშაობა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მდგომარეობა, მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვის მდგომარეობის შესახებ და სხვ.

აღსანიშნავია ლანჩხუთის, მაიაკოვსკის და საგარეჯოს რაისაბჭოს აღმასკომების ვაჭრობის, ახალციხისა და ზესტაფონის რაისაბჭოების აღმასკომების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შტატგარეშე განყოფილებების კარგი მუშაობა.

დიდ დახმარებას უწევენ აღმასკომებს შტატგარეშე ინსტრუქტორები და ინსპექტორები, რომელთა რიცხვი დღეისათვის 2.377 აღწევს.

აქტიურ მონაწილეობას იღებენ საცხოვრებელი ფონდის მოვლა-პატრონობაში, ეზოებისა და ქუჩების გამწვანების, საბავშვო, სპორტული მოედნების მოწყობაში სახლებისა და ქუჩის კომიტეტები.

აღსანიშნავია ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ფოთის, თელავის, ჭიათურის, ჩოხატაურისა და თეთრიწყაროს დაბების ქუჩისა და უბნის კომიტეტების კარგი მუშაობა, რომლებმაც მოსახლეობის შრომითი მონაწილეობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაატარეს ქუჩების კეთილმოწყობის, გამწვანებისა და სანიტარული კულტურის ამაღლების საქმეში.

რესპუბლიკაში შექმნილია 98 პენსიონერთა საბჭო, სადაც 1.300-ზე მეტი შრომის ვეტერანია გაერთიანებული.

მუშაობის კარგ მაგალითს იძლევიან რუსთავის, ქუთაისის, ტყიბულის, ზუგდიდის საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული პენსიონერთა საბჭოები და მათი სექციები, რომელთა მუშაობა ძირითადად მიმართულია პენსიონერთა საბინაო, საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა მომსახურების გაუმჯობესებისაკენ. საბჭოს წევრები ამოწმებენ პენსიის დანიშვნის სისწორეს, განუმარტავენ პენსიონერებს კანონს სახელმწიფო პენსიების შესახებ და სხვ.

სულ უფრო მეტი საზოგადოებრივი საწყისები იჩენს თავს კულტურის დაწესებულებების საქმიანობაში. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად რესპუბლიკაში საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებს 2523 კლუბისა და ბიბლიოთე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის საბჭო, 248 სამკითხველო, 13 კლუბი, 20 სახალხო თეატრი, 59 სახალხო უნივერსიტეტი და სხვ.

ქუთაისის, ჭიათურის, ტყიბულის საქალაქო, მახარაძის, ლანჩხუთის რაიონული და ზოგიერთი სხვა საბჭოები სწორად წარმართავენ საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაციების მუშაობას, ხშირად ისმენენ სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე საკითხებს მათი საქმიანობის შესახებ, ეხმარებიან მათ და უქმნიან მუშაობისათვის სათანადო პირობებს.

ამასთან ერთად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობისა და მათდამი საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელობის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ადგილობრივი საბჭოები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს. ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დღემდე თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების უმრავლესობა მუშაობს დებულებებისა და ინსტრუქციების გარეშე, მათი ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი არ არის განსაზღვრული, რაც იწვევს ამ ორგანიზაციების მუშაობაში გაურკვევლობასა და პარალელიზმს.

ზოგიერთი აღმასკომი რიცხობრივი მხარით არის გატაცებული და ქმნის ისეთ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომლებიც ცხოვრებით არ არის ნაკარნახევი და არავითარი პრაქტიკული სარგებლობა არ მოაქვს (ელექტრომეურნეობის, ბავშვთა შორის მუშაობის და სხვა შტატგარეშე განყოფილებები).

არის შემთხვევები, როდესაც რაიონული და საქალაქო საბჭოები ქმნიან ერთი და იგივე მუდმივ კომისიებსა და შტატგარეშე განყოფილებებს, რის შედეგად ადგილი აქვს მათ მუშაობაში პარალელიზმს, ზოგიერთ შემთხვევაში კი უმოქმედობას (მარხეული, მესტია, ყაზბეგი, ბოლნისი, ახმეტა). არა ერთია ისეთი ფაქტი, როცა ერთი და იგივე პიროვნება გაერთიანებულია რამოდენიმე კომისიაში და ფაქტიურად ვერც ერთ დავალებას სათანადოდ ვერ ასრულებს.

ბევრი საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაცია აღმასკომების სუსტი ხელმძღვანელობის გამო მუშაობს საბჭოებისა და მათი მუდმივი კომისიებისაგან მოწყვეტით, ცოცხალი, ორგანიზატორული მუშაობა შეცვლილია ფუსფუსითა და ხშირი თათბირებით.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოები სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე იშვიათად იხილავენ თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს და არ ზრუნავენ მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. კასპის საქალაქო, ორჯონიკიძის, ზესტაფონის, დუშეთის, ცაგერის, ახმეტის, ყვარლის, ბოლნისის, თელავის რაიონულ საბჭოებს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე არც ერთხელ არ განუხილავთ თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის საკითხები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს მმართველობის ორგანოების საქმიანობაში საზოგადოებრივი საწყისების ყოველმხრივ განვითარება, სა-

9362.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეო და კულტურული მშენებლობის სხვადასხვა საკითხების გადაწყვეტაში ფართო მასების ჩაბმა.

2. იმ მიზნით, რომ განმტკიცდეს და გაიზარდოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი, დაევალოს მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს:

ა) სრულყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები. უახლოეს დროში გადახედონ მათ საქმიანობას იმ ვარაუდით, რომ აღმასკომებთან არსებობდეს საზოგადოებრივ საწყისებზე მხოლოდ ისეთი ორგანიზაციები, რომლებიც თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ნამდვილად ამართლებენ და ეხმარებიან საბჭოებს მათ წინაშე მდგარი სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში; ამასთან გაითვალისწინონ, რომ ერთი და იგივე პიროვნება არ იყოს გაერთიანებული რამოდენიმე კომისიაში;

ბ) საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის საკითხები. ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ ორგანიზაციების მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებას, მოაწყონ მათი ხელმძღვანელების სწავლება და შეუქმნან მათ მუშაობისათვის სათანადო პირობები;

გ) მიაღწიონ იმას, რომ საბჭოების მუდმივი კომისიები, დეპუტატები და აღმასკომები თავიანთ განყოფილებებთან და სამმართველოებთან ერთად მჭიდრო კავშირში იყვნენ და ეყრდნობოდნენ თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, იყენებდნენ მათ სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შემუშავებასა და, რაც მთავარია, საბჭოებისა და აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

3. დაევალოს სამინისტროებსა და უწყებებს ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ ადგილობრივ საბჭოებთან არსებულ შესაბამის თვითმოქმედ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს დებულებებისა და ინსტრუქციების შემუშავების საქმეში, მუშაობის გამოცდილების განზოგადებაში და სხვ.

4. რესპუბლიკური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ საზოგადოებრივი თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობის საკითხები, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მათ მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში, ამხილონ ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი და განაზოგადონ მუშაობის დადებითი გამოცდილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

580 არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულებაში ზოგიერთი ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნას დამატება არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების დებულების მეორე მუხლის ბოლო აბზაცში და ჩამოყალიბდეს იგი შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები მთელ თავიანთ საქმიანობაში პასუხს აგებენ და ანგარიშვალდებული არიან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე“.

2. დებულების მესამე მუხლის პირველ აბზაცში სიტყვები: „შინაგან საქმეთა სამინისტროს“ შეიცვალოს სიტყვებით: „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს“.

3. დებულების მეოთხე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი აბზაცი:

„არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიები ღებულობენ გადაწყვეტილებას საბავშვო სახლში არასრულწლოვანთა გასაგზავნად, აგრეთვე საბავშვო სახლიდან აღსაზრდელად გაყვანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

581 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1964 წლის 25 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 27 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

582 **ამხ. ს. ბ. ავჩიანისათვის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ**

ქართული და სომხური საბჭოთა ლიტერატურის და თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალ სურენ გიორგის ძე **ავჩიანს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო** წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 23 ნოემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარეობს ხელმოწერა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს

უწყებებზე

1965 წლისათვის

„საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“ ქვეყნდება:

პირველ ნაწილში (ქართულ ენაზე):

ა) სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის გრძანებულებები და დადგენილებები, აგრეთვე სხვა დოკუმენტები;

ბ) სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

გ) მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

მეორე ნაწილში (ქართულ და რუსულ ენებზე):

ა) საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის გრძანებულებები და დადგენილებები;

ბ) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულებები საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ;

გ) ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მისი მუდმივი კომისიების, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვ.

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის თვეში სამჯერ ქართულ და რუსულ ენებზე.

ხელმოწერის ფასია:

12 თვით — 2 მანეთი და 50 კაპ.
6 თვით — 1 მანეთი და 25 კაპ.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოიუზპეჩატი“, კავშირგაბმულობის განყოფილებები; კონტორები, სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.

გამომცემლობა „იზვესტია“
მოსკოვი, ცენტრი, პუშკინის მოედანი, 5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიწყო ხელმოწერა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებზე

1965 წლისათვის

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“

ქვეყნდება:

პირველ განყოფილებაში — სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ნორმატიული ხასიათის ბრძანებულებები და დადგენილებები; სსრ კავშირის მიერ უცხო სახელმწიფოებთან დადებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ რატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები და კონვენციები;

მეორე განყოფილებაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები საბჭოთა კავშირის გმირისა და სოციალისტური შრომის გმირის წოდებათა, საპატიო წოდებათა მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებიდა და მედლებით დაჯილდოების შესახებ;

მესამე განყოფილებაში — მოკლე ცნობები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პალატების, მათი მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, ინფორმაცია საპარლამენტთაშორისო კავშირის სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მოღვაწეობის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებისა და გაწვევის შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის უცხო სახელმწიფოთა ელჩების მიერ რწმუნების სიგელების გადაცემის შესახებ, ცნობები მოკავშირე რესპუბლიკების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ და სხვა.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები“

გამოდის კვირაში ერთჯერ.

ხელმოწერის ფასია:

12 თვით — 4 მანეთი და 80 კაპ.
6 თვით — 2 მანეთი და 40 კაპ.
3 თვით — 1 მანეთი და 20 კაპ.
ხელმოწერა მიიღება ყოველ მომდევნო თვიდან.

ხელმოწერას მიიღებს:

„სოუიზპეჩატის“ საქალაქო და რაიონული განყოფილებები, კავშირგაბმულობის კონტორები, განყოფილებები და სააგენტოები, ფოსტალიონები, აგრეთვე რწმუნებულები, რომელთაც ფაბრიკებში, ქარხნებში, მშენებლობებზე, შახტებში, რკინიგზის ტრანსპორტზე, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სასწავლებლებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში ხელმოწერის მიღების უფლება აქვთ.